ქ. თბილისი

ხელშეკრულება №90

„28„ ივნისი 2018 წ.

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია , შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **დიმიტრი სანაკოევის** სახით და **შპს ,,თეგეტა მოტორსი"** , შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად'', წარმოდგენილი უფლებამოსილი პირის- გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის **თეიმურაზ დარისპანაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები'' „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. **ხელშეკრულების საგანი** ტყვიამჭავური აკუმულატორის **(cpv-31431000)** (შემდგომში - საქონელი) შესყიდვა თანმდევი მომსახურებით (მონტაჟით), ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 285 (ორასოთხმოცდახუთი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ, მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2,2 აკუმულატორის ღირებულება მოიცავს მისი მონტაჟის ღირებულებას.

№	დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთ.ფასი დღგ–ს ჩათვლით	თანხა
1	აკუმულატორი ვარტა ბლუ 70 ა/ს E-23	ცალი	1	285	285
	ჯამი დღგ–ს ჩათვლით				**285,00**

3. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

3.1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №5.

3.2 საქონლის მიწოდება და მონტაჟი განხორციელდება 2018 წლის 06 ივლისამდე

3.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 10 აგვისტომდე

4. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

4.1 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება– ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შესყიდვის ობიექტის საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი

4.3 „შემსყიდველის'' მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება, სამხრეთ ოსეთის ადმინსტრაციის მატერიალური რესურსების მართვის სამმართველოს უფროს სპეციალისტს ზაურ ქისიშვილს

5. ანგარიშსწორება და გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას ხარისხიანი (სტანდარტის შესაბამისი) საქონლის მიწოდებაზე.

5.2 მიწოდებულ საქონელზე ვრცელდება გარანტია მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივი ხელმოწერიდან 1(ერთი) წლის ვადით.

5.3 ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს: მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი და მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა(ები) ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების შემსყიდველისათვის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარშისწორებით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

6.მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1 ''შემსყიდველი'' უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს ''მიმწოდებლის'' მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2 შემსყიდველი'' ვალდებულია უზრუნველყოს ''მიმწოდებლის'' შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.3 ,,მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობრბის დაცვით;
6.4. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს სათანადო ხარისხითა და გარანტიით და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
6.5 თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების დროს. ინსპექტირებას განახორციელებს ''შემსყიდველის'' მიერ შესაბამისად განსაზღვრული პირი საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის, მატერიალური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ზაურ ქისიშვილს
7.2 ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფრხვევასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ''მიმწოდებელს'' საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,5%–ის ოდენობით.
8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

9. 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5(ხუთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების გზით).

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები"შემსყიდველისათვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4 მხარე ვალდებულია 10.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოთ მეორე მხარეს.
10.5ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

11.ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხიმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვეაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან / და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გატავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულების თანავე.

12.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრლი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანოონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე 3(სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს , ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

შემსყიდველი:
სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია
მის. ქ. თბილისი, კოსტავას 37ა
ს/კ 204 532 434

ხელმძღვანელი
დიმიტრი სანაკოევი

მიმწოდებელი:
შპს,,თეგეტა მოტორსი"
მის. ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ
ს/კ 202 177 205
ბ/კTBCBGE22
ა/ა: GE80TB0600000024467853
გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
თეიმურაზ დარისპანაშვილი

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
#5, 12 km, D. Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi, Georgia. ID: 202177205
+99532 224-44-44 www.tegetamotors.ge
გაყიდვების დეპარტამენტი

სახელმწიფო შესყიდვის №90 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კონფლიქტის არარსებობის ცნობა

ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეებთან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"** საქართველოს კანონის მე-8 მუხლით **(ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები)** გათვალიწინებულ მოთხოვნებს.

დიმიტრი სანაკოევი

ინგა ნინიძე